



Projekt 543681-TEMPUS-1-2013-1-DE-TEMPUS-JPHES „Network of competence centres for the development of cruise tourism in the Black Sea region" - CruiseT



“Network of Competency Centre for the development of cruise tourism in The Black Sea Region” CruiseT

„კომპეტენციის ცენტრის ქსელი შავი ზღვის რეგიონში საკრუიზო ტურიზმის განვითარებისათვის“

პროექტი ხორციელდება ევროკომისიის მხარდაჭერით, „ტემპუსის“ ფარგლებში

პროექტის კოორდინატორი: პადერბორნის უნივერსიტეტი, გერმანია

პროექტის ხანგრძლივობა : 2013-2016 წელი

პროექტის ბიუჯეტი: 1,3 მლნ. ევრო

პროექტში გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი მონაწილეობს შემდეგ ორგანიზაციებთან ერთად :

1. გერმანიის, იტალიის, ბულგარეთის, რუმინეთის, საქართველოს და უკრაინის უნივერსიტეტები (15);
2. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
3. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი;
4. ბათუმის პორტის, შავი და აზოვის ზღვების პორტების ასოციაცია;
5. ტურისტული კომპანიები.

პროექტის იდეა

შავი ზღვის აუზის ბუნებრივი პოტენციალი, ისე როგორც ხმელთაშუა ზღვის აუზის დესტინაციებთან მისი სიახლოვე და მჭიდრო ურთიერთობები - არ არის კაპიტალიზირებული. შავი ზღვის აუზს ხმელთაშუა ზღვის საკრუიზო ბაზრის მხოლოდ 1%-მდე უკავია.

როგორ შეიძლება შავი ზღვის აუზის რეგიონი მიმზიდველ ტურისტულ ატრაქციად იქცეს? ამ კითხვაზე პასუხი მარტივი არ არის, რადგან კომპლექსური პრობლემების გაცნობიერება და გადაწყვეტა იშვიათად არის შესაძლებელი კოლაბორაციის გარეშე.

საკრუიზო ინდუსტრიის წარმომადგენლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ რეგიონული ბიზნესის წარმოება შუძლებელია რეგიონული პარტნიორული კავშირურთიერთობების გარეშე.

შავი ზღვის აუზის, კერძოდ კი საქართველოს ფართო ინტეგრაცია საკრუიზო ტურისტულ ბაზარზე კერძო სექტორის სტრატეგიაზე, რეგიონული და ლოკალური დონის ავტორიტეტების მოქნილობასა და აკადემიურ წრეების აქტივობებზეა დამოკიდებული.

პროექტის იდეაა ე.წ. „ცოდნის სამკუთხედის“- განათლება-კვლევა-ინოვაციები, გზით ხელი შეუწყოს ამ პროცესს.

პროექტის ძირითადი მიზნები:

- თანამშრომლობის ქსელის შექმნა შავი ზღვის რეგიონში;
- კომპეტენციის 3 ცენტრის შექმნა (1-ბათუმში, 2-უკრაინაში) საკრუიზო ტურიზმის განვითარების მიზნებისათვის;
- უნივერსიტეტებისა და ტურისტული კომპანიების, ასოციაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია;
- ლინგვისტური და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები საკრუიზო ტურიზმში და თანმხლები საკითხები;
- ტრენინგებისა და სამაგისტრო პროგრამის „საკრუიზო ტურიზმის მენეჯმენტი“ შემუშავება-დანერგვა (რეგიონული მონაწილეებისათვის);
- საკრუიზო ტურიზმის სექტორის სამეცნიერო კვლევები და კონსალტინგი - (საკრუიზო ტურიზმის სექტორში მომუშავეთათვის);
- ხარისხის კონტროლის სისტემის შემუშავება-დანერგვა და შედეგების უზრუნველყოფა;
- შედეგების მდგრადობის მექანიზმების შემუშავება -დანერგვა-გავრცელება

2014 წლის 15 ოქტომბერს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში შედგება პროექტის მონაწილეთა საკოორდინაციო შეხვედრა

საკოორდინაციო შეხვედრის მიზანია:

- შავი ზღვის რეგიონის საკრუიზო ტურიზმის კომპეტენციის ცენტრის კონცეფციის საბოლოო ვერსიის პრეზენტაცია, დისკუსიები აღნიშნულთან დაკავშირებით;
- ვორქშოფი: საკრუიზო ტურიზმის რეგიონული კვლევებისა და კონსალტინგის ძირითადი მიმართულებების პრეზენტაციები, მიმოხილვა და დისკუსიები;
- ვორქშოფი: პროექტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხზე;
- პროექტის ევროპელ პარტნიორებთან პროექტის მონაწილეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირების დაგეგმვა;
- პროექტის 9 თვის შედეგების შეფასება.

EACEA -European Commission or the Education, Audiovisual and Culture Executive Agency. is responsible for the management of certain parts of the EU's funding programmes in the fields of education, culture, audiovisual, sport, citizenship and volunteering.
Culture Executive Agency

ტემპუსი

- ტემპუსი ევროკავშირის პროგრამაა, რომელიც ეხმარება აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიის, დასავლეთ ბალკანეთის და ხმელთაშუაზღვის რეგიონის პარტნიორ ქვეყნებს თანამშრომლობის პროექტების საშუალებით საუნივერსიტეტო უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზებაში.
- ტემპუსი ითვალისწინებს პარტნიორი ქვეყნების აკადემიური წრეების თანამშრომლობას ევროპულ უნივერსიტეტებთან, რაც გულისხმობს გამოცდილების გაზიარებას განათლებაში ევროპული სტანდარტების სფეროში; ევროპული საგანმანათლებლო ბაზრის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას; თანამედროვე ლიტერატურის შექმნას; მასწავლებელთა უნარჩვევების ამაღლებაზე გამიზნული ტრენინგების ჩარატებას; სტუდენტთა სწავლას უცხოეთში; უნივერსიტეტების მართვის გაუმჯობესებას; საუნივერსიტეტო რეფორმას; ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას და განვითარებას;

ტემპუსის საშუალებით ფინანსდება ორი ტიპის საქმიანობა:

1. ერთობლივი პროექტები, რომელთა მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის გაუმჯობესება ან აკადემიური პროგრამების დახვეწა;
2. ასევე, სტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება, რომელთა მიზანია უმაღლესი განათლების სისტემების ხარისხის და მათი საჭიროების გაზრდა და ევროკავშირში მიმდინარე პროცესებთან მათი კონვერგენცია.

ტემპუსის პროექტები საქართველოში ხორციელდება 1995 წლიდან. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს შემუშავების მხარდაჭერით ტემპუსის პროგრამამ ხელი შეუწყო ბოლონის პრინციპების წარმატებულ განხორციელებას.

Tempus IV (2008-2013) პირველი სამი წლის განმავლობაში უკვე დაფინანსდა 12 პროექტი.